

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ლარში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბლუბერი“ გსნ 435432266,

იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ოზურგეთი, დაბა ნარუჯა.

საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ ლურჯი მოცვის მოყვანა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მს ფასს-ის შესაბამისად. გამოაკნლისის სახით, სახელმწიფო გრანტის მიმართ, სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ფასს სტანდარტი.

საანგარიშგებო, წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრის კურსები:

1 აშშ დოლარი / ლარი 2.8068

1 ევრო / ლარი 2.9306

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები და ნაგებობები 10-20 წლი;

მსუბუქი და მძიმე სატრანსპორტო საშუალებები 5-20 წელი (დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობასა და სახეობაზე);

სხვა ძირითადი საშუალებები 5-20 წელი.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ეს მეთოდი მეტად შეესაბამება ჩვენს საკუთრებაში ასეულ ბიოლოგიურ აქტივებს.

ვფლობთ მოცვის 2 ბაღს. ლურჯი მოცვი ნაყოფს იძლევა საშუალოდ 10-20 წლის განმავლობაში, შესაბამისად ვარიცხავთ ცვეთას წრფივი მეთოდით 20 წელზე გააგარიშებით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტებს აღვრიცხავთ ბასს 20 მიხედვით -

სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“.

აღნიშნულ სტანდარტს ვიყენებთ იმისთვის, რომ უფრო შეესაბამება აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს, ასევე უკეთესად მიესადაგება გრანტის მიღების და გამომუშავების სახეს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები:

დასახელება	საწყისი ნაშთი	მიღება	გასვლა	ცვეთის დარიცხვა	საბოლოო ნაშთი
მიწის ნაკვეთები	31882				31882
დაუმთავრებელი მშენებლობა	1357781	33014	1376353	0	14442
შენობები	56875	1376353	0	20332	1412896
ნაგებობები	42163	0	0	2581	39582
მანქანა-დანადგარები	33746	198262	0	10521	221487
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა- მოწყობილობა	151102	424	0	12194	139332
ოფისის აღჭურვილობა	11543	3904	0	950	14497
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11553	0	0	936	10617
სატრანსპორტო საშუალებები	20986	0	0	2425	18561
ჯამი	1717631	1611957	1376353	49939	1903296

ბიოლოგიური აქტივები:

დასახელება	საწყისი ნაშთი	მიღება	გასვლა	ცვეთის დარიცხვა	საბოლოო ნაშთი
ბიოლოგიური აქტივები (მოცვის ბაღი)	317842	87719	37061	30886	337614

გრანდები და დაფინანსება

ბალანსის მუხლში „გამომუშავებული შემოსავალი“ ასახულია მიღებული სახელმწიფო და არასახელმწიფო გრანტის სახით გადავადებული შემოსავალი. გვაქვს რამდენიმე გრანტი, რომლითაც დაგვიფინანსა გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები (მოცვის ახალი ბაღი) და რამდენიმე ძრითადი საშუალება. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცვეთის ხარჯის შემცირების გზით. ასევე, ვსარგებლობთ შეღავათიანი აგრო-კრედიტით, სახელმწიფო გვიფინანსებს სესხი პროცენტის ნაწილს. შესაბამისად აღნიშნული დაფინანსების თანხით შემცირებულია სესხის პროცენტი სხარჯი.

მარაგები

მარაგების შემადგენლობაში გვაქვს სათადარიგო და სახარჯი მასალები, რომლებიც ჯერ არ გამოგვიყენებია,

ყოველწლიურად ვახდენთ სოფლის მეურნეობის საქმიანობიდან მიღებული მთლიანი პროდუქციის რეალიზაციას. შესაბამისად ნმტებში არ გვაქვს ნაყოფის მიღებიდან წარმოქმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან: -67499 ლარი;
ბიოლოგიური აქტივის ტრანსფორმაციიდან (ნაყოფის მიღება): 321400 ლარი;
პროცენტის ხარჯი: 31402 ლარი
სხვა არასაოპერაციო ხარჯები : -87976 ლარი.

საწარმოს ბუღალტერი
გიორგი გეგუჩაძე



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9157	25379	213016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	689019	708583	594748
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	19524	122933	414177

მარაგები	253383	301076	419902
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	253383	301076	419902
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	47858	38073	68502
ბიოლოგიური აქტივები	337614	317842	343557
თვითღირებულების მოდელით	337614	317842	343557
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	455	455
ძირითადი საშუალებები	1903295	1717630	858728
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	25455	0	0
სულ აქტივები	3285305	3231971	2913085
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	5410	59466	54075
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	2012
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	254215	265156	269733
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	144250	581454	634384
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	775005	906141	756241
სულ ვალდებულებები	1178880	1812217	1716445
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2106425	1419754	1196640
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2106425	1419754	1196640

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3285305	3231971	2913085
სულ მოკლევადიანი აქტივები	1018941	1196044	1710345
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	775005	965607	812328
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2439759	3769865
საქონლის გაყიდვიდან	2439759	3769865
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1600028	-3121875
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	839731	647990
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-96025	-99271
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-69885	-45162
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-31401	-74659
იჯარის ხარჯი	-22522	-13737
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-99149	-378845
სულ საოპერაციო ხარჯები	-318982	-611674
საოპერაციო მოგება	520749	36316
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-6806
მიღებული დივიდენდები	0	0

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	165922	193604
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	686671	223114
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	686671	223114
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	686671	223114
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1419754	1196640
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2106425	1419754
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	404206	649930
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-882925
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-549136	44954
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-144930	-188041
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	128708	404
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	25379	213016
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9157	25379

